ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №5

დაბა ქედა **3 დეკემბერი 2020 წელი**

სხდომა დაიწყო 16:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 16:40 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
კარლო თურმანიძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:
გენადი არძენაძე - კომისიის წევრი;
ბაქარ ბარამიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

03.12.2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	კარლო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ბაქარ ბარამიძე	კომისიის წევრი	
4	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
5	გენადი არძენაძე	კომისიის წევრი	
6	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის №44 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში განისაზღვრა 2020 წლის 02 დეკემბერი დღის 18 საათამდე. აღნიშნულ პერიოდში საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიაში არ წარმოდგენილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე